

## სავალუტო ოპერაციებით მომსახურების წესები და პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია აღწეროს კლიენტსა და სს „პაშა ბანკი საქართველოს“ (შემდგომში „ბანკი“ ან „ბაზრის მონაწილე“) შორის სავალუტო გარიგებებთან დაკავშირებული ურთიერთობის ძირითადი წესები და პირობები.

ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარების მიზნით, კლიენტთან ურთიერთობაში ბანკი ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის ზოგადი წესებით, მოქმედი კანონმდებლობითა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანებების №142/04 „სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ და №141/04 „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად და FX გლობალური კოდექსით (შემდგომში FX კოდექსი) დადგენილი წესების მიხედვით. მხარეები მხარს უჭერენ ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს, მათ შორის FX კოდექსში მოცემულ მეთოდებს.

წინამდებარე წესებით აღწერილ სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებით, როგორც წესი, ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის იდება ხელშეკრულება/გარიგება, რის შემდეგაც ხდება კლიენტის დავალების შესრულება. ხელშეკრულების/გარიგების დადება ასევე შეიძლება მოხდეს კონკრეტული დოკუმენტის გაფორმების/ხელმოწერის გარეშე, ბაზრის მონაწილის მიერ კლიენტის დავალების შესრულებით.

ნებისმიერი გარიგებასა და წინამდებარე წესებით განსაზღვრულ პირობას შორის ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის გაცხადებულ ნებისმიერ პირობასა და წინამდებარე წესებით განსაზღვრულ პირობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გარიგებით განსაზღვრულ ან/და ბანკის მიერ კლიენტისთვის გაცხადებულ პირობას.

## კლიენტთან კომუნიკაცია და პირობები

ბაზრის მონაწილესა და კლიენტს შორის კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ელექტრონულად (დაცული დისტანციური არხები, ბანკში დაფიქსირებული ელ. ფოსტა, ინტერნეტ ბანკის შეტყობინებები) ასევე სიტყვიერად (ტელეფონით, თუმცა გარიგების დადასტურება ხორციელდება ინტერნეტ ბანკით მიღებული შეტყობინებით) ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა საშუალებით.

ბანკი კლიენტთან კომუნიკაციას აწარმოებს ნათლად და პროფესიონალურად, ისე, რომ მიზანმიმართულად შეცდომაში არ შეიყვანოს კლიენტი. ბანკს კომუნიკაციისას შეუძლია კლიენტს გააცნოს ბაზრის ზოგადი ტენდენციები, სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას. ბანკი არ ზღუდავს კლიენტს სავალუტო გარიგებების დადების ან მომსახურების მიღების მიზნით მიმართოს ბაზრის სხვა მონაწილეს.

კანონის შესაბამისად, ბანკი შეინახავს ელექტრონულ კომუნიკაციას, რომლებიც დაკავშირებულია ან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სავალუტო გარიგებების და განაცხადის დადებასთან და/ან შესრულებასთან. ჩანაწერები შეინახება ელექტრონულად ტრანზაქციის დასრულებიდან 6 წლის განმავლობაში. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია, საიდენტიფიკაციო მონაცემები, გარიგებისა და მისი შესრულების შესახებ მონაცემები, ბანკისა და კლიენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, რომლითაც სარგებლობა შეზღუდულია, მიიჩნევა კონფიდენციალურ ინფორმაციად და მისი გამჟღავნება აკრძალულია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## **კლიენტთან ვაჭრობის პირობები და გარიგების აღსრულება**

### **პრინციპალი მოვაჭრე**

კლიენტს შეუძლია ბანკთან სავალუტო გარიგება დადოს როგორც კონტრაგენტმა: მოითხოვოს სპოტ, ფორვარდული ან სვოპ გარიგების კურსი და შეათანხმოს სასურველი პირობები - ბანკი მოქმედებს მხოლოდ როგორც პრინციპალი მოვაჭრე კლიენტთან გარიგებას დებს საკუთარი სახელითა და რისკით. ბანკი არ ასრულებს ოპერაციებს როგორც აგენტი მოვაჭრე.

სპოტ, ფორვარდული ან სვოპ სავალუტო გარიგების კურსისა და სხვა პირობების შესათანხმებლად კლიენტმა უნდა დააკონკრეტოს გარიგების სავალუტო წყვილი, შესაძენი/გასაყიდი ვალუტის მოცულობა, და ვალუტირების თარიღ(ებ)ი. სავალუტო ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე კურსი, რომელსაც ბანკი, როგორც პრინციპალი მოვაჭრე შესთავაზებს კლიენტს, შეიძლება სწრაფად შეიცვალოს. აქედან გამომდინარე შეთანხმებული კურსი მოქმედი იქნება მხოლოდ დაუყოვნებლივი აღსრულებისთვის (შეთანხმებისთვის) და ბანკი ვერ იქნება პასუხისმგებელი, რომ აღნიშნული კურსი კლიენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს მომავალშიც. ბანკის მიერ შეთავაზებული კურსის მისაღებობის შემთხვევაში კლიენტმა თანხმობა

(დაადასტუროს ინტერნეტ ბაკის შეტყობინებით) უნდა გამოხატოს დაუყოვნებლივ, რაც ჩაითვლება კონვერტაციის პირობებზე შეთანხმებად.

როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას ბანკი ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა კონკრეტული ტიპის ტრანზაქციაზე ბაზარზე არსებული ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა, ბანკის მოგება, საკრედიტო და სავალუტო რისკი, ვაჭრობის საოპერაციო ხარჯები და სხვა. ბაზრის მონაწილე ადასტურებს, რომ ფასდადება არის სამართლიანი და გონივრული, შეესაბამება გასაწევი მომსახურების ეკონომიკურ ხარჯებსა და სავალუტო ბაზრის მონაწილის მიერ აღებულ რისკებს.

ფორვარდული და სვოპ გარიგების კურსის ფასწარმოქმნა ეფუძნება მის ვადიანობას და კონკრეტული სავალუტო წყვილის მიმდინარე გაცვლით კურსს, რომელიც კორექტირებულია შესაბამისი ვალუტების საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის და კლიენტის საკრედიტო რისკის მიხედვით. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს კლიენტის მოთხოვნის მიღებასა და შესრულებაზე, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს როგორც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით მხარეებს შორის. ნებისმიერი დადებული გარიგება აღსრულდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და ნებისმიერ მესამე პირთა პროფესიული რჩევების საფუძველზე, რომელიც დაეფუძნება, მათ შორის, ფინანსურ, იურიდიულ, საბუღალტრო თუ საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებულ ასპექტებს.

ბანკი არ ახორციელებს კანონით აკრძალულ და შეზღუდულ ქმედებებს. ბანკი არ ვაჭრობს წინსწრებით, არ განახორციელებს ისეთ ქმედებებს, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრის ფასებით ხელოვნურად მანიპულირებას, მათ შორის ოფიციალური გაცვლითი კურსით ხელოვნურად მანიპულირებას.

## დავები

წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია, მიმართოს ბაზრის

მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ბანკის სერვისცენტრებში წერილობითი განცხადების დაფიქსირებით -

ან სატელეფონო ნომრის მეშვეობით: +995 322 265 000,

ან მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **ცვლილებები**

აღნიშნულ წესებში ბანკის მიერ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის მისი ვებ-გვერდზე <https://www.pashabank.ge> განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.